საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №68

2010 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება (დანართი №1).

2. დამტკიცდეს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა (დანართი №2).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და ნოტარიუსობის კანდიდატის კონკურსის წესით შერჩევის შესახებ დებულებებისა და ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 6 ივნისის №422 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

ზ. ადეიშვილი

დანართი №1

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება შემუშავებულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში – გამოცდა) ჩატარების, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის (შემდგომში – კომისია) შექმნისა და საქმიანობის პრინციპებს.

2. გამოცდის ჩატარების მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება ნოტარიუსობის კანდიდატის კვალიფიკაცია ნოტარიუსისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. გამოცდის ჩაბარების უფლების მქონე პირები

1. გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს

ქმედუნარიან მოქალაქეს.

2. (ამოღებულია - 28.02.14 წ. №2).

3. ამ დებულების მიზნებისათვის, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება:

ა) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო (მათ შორის, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის) უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა" ან „საერთაშორისო სამართალი" და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის" კვალიფიკაცია;

ბ) პირი, რომელსაც აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული სპეციალისტის ან მაგისტრის უმაღლესი აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობის სპეციალობაში, ამასთან, დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ მას ჩაბარებული აქვს შემდეგი საგნები:

ბ.ა) სამართლის თეორია;

ბ.ბ) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ.გ) სამოქალაქო სამართალი;

ბ.დ) სამოქალაქო სამართლის პროცესი;

ბ.ე) ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;

ბ.ვ) სამეწარმეო სამართალი;

გ) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა", ასევე ლიცენზირებული კერძო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, რომელსაც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის" კვალიფიკაცია, ამასთან, დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ მას ჩაბარებული აქვს ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნები.

4. პირი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარების შემთხვევაში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №190-სსმIII, №134, 19.10.2010წ.,მუხ.1934
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 28.01.2014 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 3. კომისია

1. ნოტარიუსობის კანდიდატი გამოცდას აბარებს კომისიას.

2. კომისია იქმნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებისაგან, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან.

4. კომისია იქმნება გამოცდის ჩატარებამდე არა უადრეს ათი დღისა და მისი უფლებამოსილება წყდება გამოცდის შედეგების დამტკიცებისთანავე.

3. კომისიის წევრთა რაოდენობას და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. კომისიის შემადგენლობა ანონიმურია.

4. საქართველოს იუსტიციის მინისტრი კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 4. გამოცდის დანიშვნა

1. გამოცდას ნიშნავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2. გამოცდის დანიშვნის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრი გამოსცემს ბრძანებას, რომელიც გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". ბრძანება აგრეთვე ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა (შემდგომში – იუსტიციის სასწავლო ცენტრი) და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის (შემდგომში – ნოტარიუსთა პალატა) ვებგვერდებზე.

3. გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, იუსტიციის სასწავლო ცენტრთან იქმნება კომისიის სამდივნო, რომლის მიზანია გამოცდის მოსამზადებლად აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის, გამოცდის ჩაბარების მსურველთა საბუთების მიღება და დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.

მუხლი 5. გამოცდაზე დასაშვებად საბუთების მიღება

1. გამოცდაზე დაშვების მიზნით საბუთების მიღება იწყება გამოცდის ჩატარების თარიღის გამოცხადებიდან მეორე სამუშაო დღეს და მთავრდება გამოცდის ჩატარებამდე ხუთი დღით ადრე. დაგვიანებით შემოსული საბუთები არ მიიღება.

2. გამოცდის ჩაბარების მსურველებმა სამდივნოში ელექტრონულად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის ასლი, ხოლო ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ჩაბარებული საგნების დანართის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ე) გამოცდაში მონაწილეობისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3. თუ პირი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მის მიერ წარმოდგენილი საბუთები შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, საბუთების გაგზავნიდან 3 დღის ვადაში იგი მიიღებს ელექტრონულ ფოსტაზე დადასტურებას გამოცდაზე დაშვების შესახებ. თუ პირის მიერ საბუთები წარმოდგენილია არასრული სახით, იგი უფლებამოსილია გამოასწოროს ხარვეზი და სამდივნოში წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთები შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №190 - სსმ III, №134,19.10.2010წ.,მუხ.1934
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223 - სსმ III, №158,03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 6. გამოცდის ეტაპები და პროცედურები

1. გამოცდა მოიცავს ორ ეტაპს – ზოგად უნარებს (ვერბალურ და მათემატიკურ ნაწილებს) და პროფესიულ ნაწილს, რომელიც ტარდება ტესტირების ფორმით. ტესტირება ტარდება კომპიუტერული პროგრამის

გამოყენებით.

2. ტესტირების დასრულებისას ამობეჭდილი უნდა იქნეს კანდიდატის მიერ დამუშავებული ელექტრონული ტესტების შეფასების ამონაწერის ეგზემპლარი, რომელიც ინახება საგამოცდო კომისიასთან 1 წლის ვადით.

3. პირი გათავისუფლდება გამოცდის პროფესიული ნაწილის ჩაბარების ვალდებულებისაგან, თუ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით, ან ეკავა მოსამართლის თანამდებობა და ამ გამოცდის ჩაბარებიდან/მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებამდე გასული არ არის 2 წელზე მეტი, ან უკავია მოსამართლის თანამდებობა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 28.01.2014 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 7. გამოცდის პირველი ეტაპი - ზოგადი უნარები

1. გამოცდის პირველი ეტაპის ტესტი შედგება ასი ტესტური ტიპის კითხვისგან.

2. საგამოცდო ტესტი არის კითხვა ოთხი სავარაუდო პასუხით. სავარაუდო პასუხებიდან ერთი პასუხი არის სწორი.

3. გამოსაცდელის ამოცანაა თითოეული ტესტის ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიოს სწორი პასუხი.

4. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი – 0 ქულით.

5. გამოცდის პირველი ეტაპის მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 100.

6. თუ გამოსაცდელმა გამოცდის პირველ ეტაპზე დააგროვა 70 ან მეტი ქულა, იგი უფლებამოსილია გავიდეს გამოცდის მეორე ეტაპზე, რის შესახებაც პირს ეცნობება გამოცდის პირველი ეტაპის ჩატარების მეორე დღეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №226-სსმIII, №159, 06.12.2010წ.,მუხ.2256
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №230-სსმIII, №165, 17.12.2010წ.,მუხ.2333
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 8. გამოცდის მეორე ეტაპი - პროფესიული ნაწილი

1. გამოცდის მეორე ეტაპის – პროფესიული ნაწილისათვის განკუთვნილი ტესტები უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დამტკიცებულ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას (დანართი №2).

2. გამოცდის მეორე ეტაპი ტარდება ამ დებულების მე-7 მუხლით (გარდა მე-6 პუნქტისა) დადგენილი წესით.

3. გამოსაცდელმა გამოცდის მეორე ეტაპზე უნდა დააგროვოს 75 ან მეტი ქულა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №229-სსმIII, №162, 13.12.2010წ.,მუხ.2292
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №231-სსმIII, №165, 17.12.2010წ.,მუხ.2334
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.

მუხლი 9. გამოცდაზე გამოცხადების დრო

1. გამოცდის თითოეული ეტაპის ჩატარების დღეს ყველა გამოსაცდელი გამოცდის ჩატარების ადგილას

უნდა გამოცხადდეს წინასწარ განსაზღვრულ დროს და გაიაროს რეგისტრაცია. გამოსაცდელებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ გამოცხადებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.

მუხლი 10. საგამოცდო დრო

1. გამოცდის პირველი ეტაპისთვის გამოსაცდელს ეძლევა 2 საათი, ხოლო მეორე ეტაპისთვის – 3 საათი.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით და 15 წუთით ადრე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №229-სსმIII, №162, 13.12.2010წ.,მუხ.2292
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.

მუხლი 11. (ამოღებულია)

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235

მუხლი 12. სავალდებულო ინსტრუქტაჟი გამოცდის დაწყებამდე

საგამოცდო კომისიის წარმომადგენელი გამოცდის დაწყებამდე ვალდებულია ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს გამოსაცდელებს, აუხსნას მათ ტესტების ამოხსნის მეთოდიკა და სხვა საკითხები, რაც აუცილებელია გამოცდის ჩაბარებისთვის. ინსტრუქტაჟი უნდა მოიცავდეს მითითებას იმის შესახებაც, რომ გამოსაცდელისგან დამოუკიდებელი მიზეზებით კომპიუტერული ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის ან ტესტირების მიმდინარეობისას სხვა სახის დაბრკოლების შექმნისას, გამოცდის შესაბამისი ეტაპისთვის განკუთვნილი დროის დინება შეჩერდება იმ ხანგრძლივობით, რაც საჭიროა შესაბამისი ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 13. საკანონმდებლო მასალის გამოყენების აკრძალვა

1. გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება.

2. გამოცდაზე დაუშვებელია აუდიო ან ტექნიკური საშუალებების (მათ შორის, მობილური ტელეფონების) შეტანა.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში დგება შესაბამისი შინაარსის აქტი, ხოლო გამოსაცდელი, რომელიც შემჩნეული იქნება მითითებული მასალისა თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენებაში, მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

მუხლი 14. გამოცდაზე გამოუცხადებლობის შედეგები

გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოუცხადებლობის საფუძვლის მიუხედავად, პირს არ აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება.

მუხლი 15. საჯაროობა გამოცდის ჩატარებისას

1. გამოცდის ჩატარებისას, საზოგადოებრივი კონტროლისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცდაზე მეთვალყურეებად დაიშვებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულმა პირებმა გამოცდის ჩატარებამდე ათი დღით ადრე განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

3. მეთვალყურეები საგამოცდო დარბაზში დაიკავებენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებს. საგამოცდო პროცესში ჩარევის უფლება მათ არა აქვთ. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მეთვალყურე დათხოვნილ იქნება საგამოცდო დარბაზიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235

მუხლი 17. საპრეტენზიო კომისია

1. გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია იუსტიციის სამინისტროსა ან/და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებისაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - აგრეთვე შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან.

1^1. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს იმავდროულად კომისიისა და საპრეტენზიო კომისიის წევრი. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია.

2. გამოცდის თითოეული ეტაპის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო კომისიას, მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით. ამ მიზნით, გამოსაცდელს უფლება აქვს, გაეცნოს საკუთარ ნაშრომს და კომისიის სამდივნოს მიერ განსაზღვრულ დროის შუალედში წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი არგუმენტაცია განცხადების დასაბუთების მიზნით.

2^1. გამოცდის მეორე ეტაპის - პროფესიული ნაწილის შედეგად მიღებული შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში, გამოსაცდელს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამაში შემავალი ნორმატიული მასალა. კომისიის სამდივნო ვალდებულია შეუქმნას გამოსაცდელს ამ უფლების შეუფერხებლად განხორციელებისათვის სათანადო პირობები და ნორმატიული მასალის ხელმისაწვდომობის მიზნით უზრუნველყოს გამოსაცდელის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე წვდომა.

3. პრეტენზია მიიღება გამოცდის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადების დღეს, კომისიის სამდივნოში. დაგვიანებული პრეტენზიები არ მიიღება.

4. საპრეტენზიო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

5. თუ საპრეტენზიო კომისია დარწმუნდება, რომ შეფასება არ არის სწორი, იგი ვალდებულია შეცვალოს შეფასება.

6. პრეტენზიების განხილვის შედეგები აისახება შესაბამის ოქმში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №223-სსმIII, №158, 03.12.2010წ.,მუხ.2235
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 28.01.2014 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

მუხლი 18. გამოცდის შედეგები

1. გამოცდის საბოლოო შედეგებს, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს კომისია.

2. პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდა, იღებენ სერტიფიკატს.

3. გამოცდის შედეგები ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №116 - ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 08.04.2014 წ.

დანართი №2

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 24 მარტის ბრძანება №691 - ვებგვერდი, 25.03.2021 წ.

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა

შინაარსი

1. საკონსტიტუციო სამართალი

2. სამოქალაქო სამართალი

3. სამოქალაქო საპროცესო სამართალი

4. ადმინისტრაციული სამართალი

5. სამეწარმეო სამართალი

6. ნოტარიატი

საკონსტიტუციო სამართალი

თემა I. კონსტიტუციის ცნება, დამახასიათებელი ნიშნები და მნიშვნელობა (ზოგადი მიმოხილვა)

კონსტიტუციის ცნება, არსი და იურიდიული მნიშვნელობა. კონსტიტუციის ნორმების ადგილი სამართლის სისტემაში. კონსტიტუცია – მიმდინარე კანონმდებლობის იურიდიული ბაზა. კონსტიტუციის უზენაესობა.

თემა II. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია – ქვეყნის უზენაესი კანონი, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი. საქართველოს კონსტიტუციის სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი.

თემა III. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ცნება და არსი. სახელმწიფო სუვერენიტეტი. სახელმწიფო სიმბოლოები. საქართველო როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობის ფორმები. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების წესი. საქართველო როგორც სამართლებრივი სახელმწიფო. საქართველო როგორც სოციალური სახელმწიფო. ეკონომიკური

თავისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობა. სახელმწიფო და ეკლესია. კონსტიტუციური შეთანხმება.

თემა IV. საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს მოქალაქეობის ცნება. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ფორმები. ნატურალიზაციის სახეები: საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ჩვეულებრივი წესით, გამარტივებული წესით, საგამონაკლისო წესითა და მოქალაქეობის აღდგენის წესით. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა მოქალაქეობიდან გასვლითა და მოქალაქეობის დაკარგვით. საქართველოს მოქალაქეობის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესი.

თემა V. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები

ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები. თანასწორობის უფლება. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ადამიანის თავისუფლება. მიმოსვლის თავისუფლება. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები. საკუთრების უფლება. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა. შეკრების თავისუფლება. გაერთიანების თავისუფლება. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება. საარჩევნო უფლება. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება. ჯანმრთელობის დაცვის უფლება. გარემოს დაცვის უფლება. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები. საპროცესო უფლებები. საქართველოს მოქალაქეობა. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები. ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები. საქართველოს სახალხო დამცველი.

თემა VI. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა

საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. თვითმმართველი ერთეულები (მუნიციპალიტეტები) – თვითმმართველი ქალაქი, თვითმმართველი თემი. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.

თემა VII. სახელმწიფო ორგანოთა სისტემა. მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციური პრინციპები

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ცნება და სისტემა. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპი. ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი.

თემა VIII. საქართველოს საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები. საქართველოს საარჩევნო სისტემის სახეები. საარჩევნო პროცესი და მისი სტადიები.

თემა IX. საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი – საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. უფლებამოსილების ვადა, კომპეტენცია და სტრუქტურა. პარლამენტის ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები. პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი. სადეპუტატო მანდატის ხასიათი. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები. პარლამენტის წევრის საქმიანობის გარანტიები. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია. საქართველოს პარლამენტის აქტები. საქართველოს პარლამენტის სესიები და პლენარული სხდომები. საკანონმდებლო პროცესი და მისი სტადიები. იმპიჩმენტი, როგორც საპარლამენტო ინსტრუმენტი.

თემა X. საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები. საქართველოს პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილების შეწყვეტა, იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობასაქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები. კომპეტენცია. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის თანახელმოწერა. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, დაკავშირებული პარლამენტის საქმიანობასთან.

თემა XI. საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი სტატუსი. მთავრობის შემადგენლობა, სტრუქტურა, უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი. მთავრობის წევრთა უფლებამოსილების მოხსნის წესი და პირობები. მთავრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან და საქართველოს პრეზიდენტთან. ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება. საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები.

თემა XII. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები. პროკურატურა

სასამართლო ხელისუფლების სისტემა. მართლმსაჯულების განხორციელება და საკონ-სტიტუციო სამართალწარმოება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საერთო სასამართლოების სისტემა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, მისი ფორმირების წესი და უფლებამოსილება.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები.

სააპელაციო სასამართლოები.

მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის წესი, კომპეტენცია. საკონსტიტუ-ციო სამართალწარმოების განხორციელების პროცესი. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება.

მოსამართლეთა საქმიანობის კონსტიტუციური გარანტიები.

საქართველოს ადვოკატურა.

საქართველოს პროკურატურის სტატუსი, პროკურატურის ორგანოთა სისტემა. უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.

თავი XIII. ნორმატიული აქტების სისტემა

სამართლებრივი აქტის ცნება და სახეები. ნორმატიული აქტის მოქმედების სფერო. ვადების ათვლა ნორმატიულ აქტში. ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართება (იერარქია). ნორმატიული აქტის სტრუქტურა. ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) და მასში ცვლილების შეტანის წესი. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში და ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის განსაკუთრებული წესი, ნორმატიული აქტის უკუძალა. ნორმატიული აქტის გაუქმება. ნორმატიული აქტების გამოქვეყნება და სისტემატიზაცია.

თემა XIV. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება. მუნიციპალიტეტი და მისი ორგანოები. მუნიციპალიტეტისა და მისი ორგანოების უფლებამოსილებები.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

სამოქალაქო სამართალი

თემა I. ზოგადი დებულებანი

სამოქალაქო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში. კერძო და საჯარო სამართალი. სამოქალაქო კანონმდებლობა. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში. კანონისა და სამართლის ანალოგია. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა. სამოქალაქო კანონთა მიზანი.

კერძო სამართლის სისტემა. სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ზოგადი ნაწილის ცნება, მნიშვნელობა და სახეები.

დისპოზიციური და იმპერატიული ნორმები სამოქალაქო სამართალში.

თემა II. პირები სამოქალაქო სამართალში

ა) ფიზიკური პირები

უფლებაუნარიანობა. ქმედუნარიანობის ცნება და მნიშვნელობა. ქმედუუნაროდ პირის მიჩნევის საფუძვლები (ასაკი, ჯანმრთელობა) – მხარდაჭერის მიმღები. შეზღუდული ქმედუნარიანობა.

სახელის უფლება. სამოქალაქო სახელი. კომერციული სახელი.

პირადი არაქონებრივი უფლებები: სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია.

უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ.

საცხოვრებელი ადგილი. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. არჩევით საცხოვრებელი ადგილი და კანონით საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელი ადგილის გაუქმების დაუშვებლობა პირის ნების საწინააღმდეგოდ.

პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მისი შედეგები.

პირის გამოცხადება გარდაცვლილად და მისი შედეგები.

ბ) იურიდიული პირები

იურიდიული პირის ცნება და ნიშნები. იურიდიული პირის სახეები: კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათი მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა. ზოგადი და სპეციალური უფლებაუნარიანობა.

კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელწოდება (საფირმო სახელწოდება).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება, რეგისტრაცია, წესდების სამართლებრივი ბუნება. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება).

თემა III. გარიგებანი

ზოგადი ნორმები გარიგებათა შესახებ.

გარიგების ცნება. ნების გამოვლენის ნამდვილობა. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების, ნების გამოვლენის არასერიოზულობის, ქმედუუნარობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. გარიგების კონვერსია. გარიგების ნაწილის ბათილობა. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას.

ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა.

არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება. არასრულწლოვანის ემანსიპაცია. წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება.

გარიგების ფორმა.

საცილო გარიგებანი.

შეცდომით დადებული გარიგებანი. მოტყუებით დადებული გარიგებანი. იძულებით დადებული გარიგებანი.

პირობითი გარიგებანი.

პირობითი გარიგების ცნება. ამორალური პირობა. ნებაზე დამოკიდებული, პოზიტიური და ნეგატიური პირობა. გარიგებები გადადების და გაუქმების პირობით.

თანხმობა გარიგებებში.

წარმომადგენლობა გარიგებებში.

თემა IV. ვადები. ხანდაზმულობა

ვადების გამოთვლა. ხანდაზმულობა. მოთხოვნები, რომლებზედაც ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. ხანდაზმულობის ვადები. ხანდაზმულობის ვადის დაწყება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით.

სანივთო (ქონებრივი) სამართალი

თემა I. ქონება

ქონების ცნება. ნივთის სახეები. არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცნება. აქცესორული და შეზღუდული უფლებები. ნივთისა და უფლების ნაყოფი.

თემა II. მფლობელობა

მფლობელობის ცნება და სახეები. მფლობელობის შეწყვეტა, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია. კეთილსინდისიერი მფლობელი, მისი უფლებები, არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელისა და არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობანი. საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით.

თემა III. საკუთრება

საკუთრების უფლების შინაარსი. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება. მესაკუთრის მიერ ნივთით სარგებლობის ხელისშემშლელი მოქმედების აღკვეთის მოთხოვნა. საერთო საკუთრება.

თემა IV. საკუთრების შეძენა და დაკარგვა

საკუთრების შეძენა უძრავ ნივთებზე. საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთებზე. პირობადადებული საკუთრება. საკუთრების შეძენა უპატრონო ნივთზე. ნაპოვარი. განძი. თანასაკუთრება შერწყმის შედეგად წარმოშობილ ნივთზე. ახალი მესაკუთრისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

თემა V. საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე

უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის ცნება და შინაარსი. მოთხოვნის დათმობა. ვალის გადაკისრება.

თემა VI. ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში

მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების ცნება. ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება. წილის განსაზღვრა საერთო საკუთრებაში. ბინის საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ურთიერთობანი ბინის მესაკუთრეთა შორის.

თემა VII. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრება

პირები, რომლებსაც შესაძლებელია საკუთრებაში ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების ვალდებულება. სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება. საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის ცვლილება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს მუნიციპალიტეტის საკუთრება. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრება.

თემა VIII. სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა

ა) აღნაგობა

აღნაგობის ცნება. აღნაგობის უფლების წარმოშობის საფუძვლები.

აღნაგობის უფლების გასხვისება. საზღაური აღნაგობის უფლებისათვის. აღნაგობის უფლების რეგისტრაცია. აღნაგობის უფლების შეწყვეტა.

ბ) უზუფრუქტი

უზუფრუქტის ცნება. უზუფრუქტის სახეები. უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობანი. უზუფრუქტის შეწყვეტა.

გ) სერვიტუტები

სერვიტუტის ცნება. სერვიტუტის პირობები. ნაგებობის მოვლის ვალდებულება. მიწის გაყოფის შედეგები. უფლებამოსილი პირის უფლებების დაცვა. პირადი სერვიტუტი.

თემა IX. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

ა) გირავნობა

ცნება. მოძრავი ნივთებისა და ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესი. გირავნობის სახეები. მფლობელობითი გირავნობა. რეგისტრირებული გირავნობა. გარიგების დადება გირავნობის საგანზე. გირავნობის უფლებით დატვირთვის შეზღუდვა, გირავნობის გაუქმების საფუძვლები. გირავნობის საგნის რეალიზაცია. გირავნობის საგნის გასხვისების შედეგები.

ბ) იპოთეკა

ცნება. სახეები. იპოთეკის რეგისტრაცია. ნივთის დატვირთვა იპოთეკით რამდენჯერმე. იპოთეკით დატვირთვის შეზღუდვა, მესაკუთრის უფლება კრედიტორის დაკმაყოფილებისას. იპოთეკის გადასვლა ახალ კრედიტორზე. იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის წესი. ნივთის იძულებით მართვა (სეკვესტრი).

თემა X. საჯარო რეესტრი

საჯარო რეესტრის დანიშნულება. რეესტრში ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა.

ვალდებულებითი სამართალი

ზოგადი ნაწილი

თემა I. ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ

ვალდებულების ცნება და სახეები. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე. ხელშეკრულების დასადებად გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

თემა II. ზოგადი დებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ

ხელშეკრულების ცნება და სახეები. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

თემა III. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების დადების წესი (ოფერტი, აქცეპტი). ქუჩაში ხელშეკრულების დადების თავისებურება.

თემა IV. ხელშეკრულების შინაარსი

ხელშეკრულების პირობები (არსებითი, ჩვეულებრივი, შემთხვევითი პირობები). ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები.

თემა V. ხელშეკრულებიდან გასვლა

თემა VI. ვალდებულების შესრულება

თემა VII. ვალდებულების დარღვევა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე. მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს.

თემა VIII. მოთხოვნის უზუნველყოფის დამატებითი საშუალებები

პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია.

თემა IX. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა მისი შესრულებით, ნოვაციით, სხვა შესრულების მიღებით, დეპონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატიებით. ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება. ვალდებულების შეწყვეტა მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების გამო. ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო.

თემა X. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებებში

სოლიდარული კრედიტორები. სოლიდარული მოვალეები.

კერძო ნაწილი

თემა XI. ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. გამყიდველისა და მყიდველის უფლებები და მოვალეობები. ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა. ნასყიდობა გადახდის განვადებით. გამოსყიდვის უფლება. ოფცია. უპირატესი შესყიდვის უფლება. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით.

თემა XII. გაცვლის ხელშეკრულება

თემა XIII. ჩუქების ხელშეკრულება

ჩუქების ხელშეკრულების ცნება. ჩუქების ხალშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება. შეწირულობა. ჩუქების გაუქმება და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა.

თემა XIV. ქირავნობის ხელშეკრულება

ქირავნობის ხელშეკრულების ცნება. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

თავი XV. ლიზინგის ხელშეკრულება

თემა XVI. იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მისი განსხვავება ქირავნობის ხელშეკრულებისაგან. მიწის იჯარა ინვენტართან ერთად. იჯარის ხელშეკრულების მოშლა.

თემა XVII. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება

ცნება და შინაარსი. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულების შეწყვეტა.

თემა XVIII. სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულების ცნება. სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობა. პროცენტი სესხისათვის. ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება. სესხის შეპირება. ხელშეკრულების შეწყვეტა.

თემა XIX. დავალების ხელშეკრულება

დავალების ხელშეკრულების ცნება. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. დავალების გადანდობა მესამე პირისათვის. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა. მარწმუნებლისა და რწმუნებულის გარდაცვალების შედეგები.

თემა XX. საკუთრების მინდობა

საკუთრების მინდობის ცნება. მინდობილი მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი. მინდობილი მესაკუთრისათვის ხარჯების ანაზღაურება. მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა.

თემა XXI. შუამავლობის ხელშეკრულება

შუამავლობის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. ექსკლუზიური დავალება. საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა. შუამავლობა ბინის ქირავნობისას. შუამავლობა სესხებისას.

თემა XXII. მიბარების ხელშეკრულება

მიბარების ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. გვაროვნული ნივთის მიბარების თავისებურებანი. სასტუმროში მიბარების თავისებურებანი.

თემა XXIII. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

ამხანაგობის ხელშეკრულების ცნება. ამხანაგობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. ამხანაგობიდან ერთ-ერთი მონაწილის გასვლის შედეგები. ამხანაგობის შეწყვეტის საფუძვლები და წესი.

თემა XXIV. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი. მარჩენალისათვის გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტა. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები.

საოჯახო სამართალი

თემა I. ქორწინების წესი და პირობები

ქორწინების ცნება. დაქორწინების პირობები. დაქორწინების გაფორმება. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.

თემა II. ქორწინების შეწყვეტა

ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები. განქორწინების დაუშვებლობა. განქორწინების წესი. ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლის დაბრუნებისას. მსჯავრდადებულ მეუღლესთან განქორწინების წესი.

თემა III. ქორწინების ბათილობა

ქორწინების ბათილობის საფუძველი. ქორწინების ბათილობის მომენტი.

თემა IV. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეთა პირადი უფლებები. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.

თემა V. შვილება

შვილების ცნება. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია. მშვილებელი. შვილად აყვანა მეუღლეების მიერ. მშობლების თანხმობა გაშვილებისას. ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილება. ნაშვილების ურთიერთობანი ბიოლოგიურ მშობლებთან. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე.

თემა VI. მეურვეობა და მზრუნველობა

მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებები. მეურვეობა, მზრუნველობა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი. მხარდამჭერის (მხარდამჭერების) დანიშვნა. მეურვის და მზრუნველის უფლებები. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობანი. მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილება, შეზღუდვა. მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობისაგან. მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები. მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლები.

მემკვიდრეობითი სამართალი

თემა I. ზოგადი დებულებანი

მემკვიდრეობის ცნება. მამკვიდრებელი. მემკვიდრეები. თანამემკვიდრეები. უღირსი მემკვიდრე. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება). სამკვიდროს გახსნა. სამკვიდროს გახსნა კომლის საერთო ქონებაზე.

თემა II. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეები. კანონით მემკვიდრეთა რიგითობა. არაშრომისუნარიან პირთა უფლებები მემკვიდრეობისას. მემკვიდრეობის უფლებების ჩამორთმევა ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის. უმკვიდრო ქონების გადასვლა ხაზინაზე.

თემა III. მემკვიდრეობა ანდერძით

ანდერძის ცნება. ერთობლივი ანდერძი. წილის განსაზღვრა მოანდერძის მიერ. ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

თემა IV. ანდერძის ფორმა

სანოტარო ფორმა. შინაურული ანდერძი. დახურული ანდერძი.

თემა V. მემკვიდრის მემკვიდრის დანიშვნა

თემა VI. სავალდებულო წილი

სავალდებულო წილის ცნება. სავალდებულო წილის განსაზღვრა. უარი სავალდებულო წილის მიღებაზე. სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა.

თემა VII. საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

ლეგატის ცნება. საანდერძო დანაკისრის საგანი. საანდერძო დანაკისრის შესრულების ფარგლები და ვადა. საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილის მიღებისას. უარი საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. საანდერძო დანაკისრი საერთო სასარგებლო მიზნით.

თემა VIII. ანდერძის შეცვლა ან მოშლა

ანდერძის შეცვლის საშუალებები. ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები.

თემა IX. ანდერძის აღსრულება

თემა X. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს მიღება. სამკვიდროს მიღების ვადა და ვადის გაგრძელება. სამკვიდროს განკარგვის დაუშვებლობა. მემკვიდრეობითი ტრანსმისია. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე.

თემა XI. სამკვიდროს გაყოფა

სამკვიდროს გაყოფის წესის განსაზღვრა მოანდერძის მიერ. საჩუქრის ჩათვლა მოანდერძის წილში. სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყოფა მემკვიდრეებს შორის. საადგილმამულო მეურნეობის გადასვლა მემკვიდრეობით. ჩასახული მემკვიდრის უფლება სამკვიდროს გაყოფისას. წილის მიღების უზრუნველყოფის ვალდებულება. წილის განკარგვის უფლე-

ბა. წილის გათანაბრება. მემკვიდრის გამოუცხადებლობის შედეგები. უპირატესი მემ-კვდრეობის უფლება.

თემა XII. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

თემა XIII. სამკვიდროს დაცვა

თემა XIV. სამკვიდრო მოწმობა

ლიტერატურა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

თემა I. სასამართლო

სამართალწარმოების ძირითადი დებულებები. უწყებრივი ქვემდებარეობა. განსჯადობა. სასამართლოს შემადგენლობა. აცილება. პროცესის ხარჯები. საპროცესო უზრუნველყოფა. საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება.

თემა II. მხარეები

მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საპროცესო თანამონაწილეობა. მესამე პირები. წარმომადგენლობა სასამართლოში.

თემა III. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. ადგილზე დათვალიერება. მხარეთა ახსნა-განმარტებები. წერილობითი მტკიცებულება. მოწმეთა ჩვენება. ნივთიერი მტკიცებულება. ექსპერტის დასკვნა.

თემა IV. სასარჩელო წარმოება

საქმეების განხილვა I ინსტანციით. სასამართლო მედიაცია. შეგებებული სარჩელი. სარჩელის უზრუნველყოფა. საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად. სასამართლოს მთავარი სხდომა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების

გამოტანის გარეშე. საქმის წარმოების შეჩერება. სასამართლო განჩინება. სასამართლო ოქმი.

თემა V. გამარტივებული წარმოება

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი.

თემა VI. უდავო წარმოება

ზოგადი დებულებები. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა. მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდენო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება). ქონების უპატრონოდ ცნობა. შვილად აყვანა.

თემა VII. ცალკეულ საქმეთა სამართალწარმოების თავისებურებანი

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი. „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი. წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმეების განხილვის თავისებურებანი. სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში (არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. სააღსრულებო ფურცლის გაცემა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება). სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე. პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება და მხარდაჭერის მიმღებად ცნობა (პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება; პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა). ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებანი. სასამართლოს მონაწილეობა სამედიაციო მორიგების აღსრულებაში.

თემა VIII. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება

აპელაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კასაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძო საჩივრის დასაშვებობა და განხილვის წესი.

თემა IX. საქმის წარმოების განახლება

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი. გარდამავალი დებულებები.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

ადმინისტრაციული სამართალი

თემა I. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება, სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები, უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება,

დოკუმენტის ოფიციალური დამოწმების უფლება, საზოგადოებრივი ექსპერტი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენა, საექსპერტო დასკვნის იურიდიული ძალა, საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შეწყვეტა.

თემა II. ინფორმაციის თავისუფლება

კომერციული საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება, სახელმწიფო საიდუმლოება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა, საჯარო რეესტრი, ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, პერსონალური მონაცემების საიდუმლოება, მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა.

თავი III. ელექტრონული დოკუმენტი და ელექტრონული სანდო მომსახურება

ელექტრონული დოკუმენტი, ელექტრონული შტამპი, ელექტრონული ხელმოწერა. კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა და მათი იურიდიული ძალა

თემა IV. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სახეები

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა დარეკვიზიტები, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები.

თემა V. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება, ადმინიტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა, ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი, ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა.

თემა VI. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“.

სამეწარმეო სამართალი

ზოგადი ნაწილი

თემა I. სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის ცნება

სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის მართლზომიერება, არაერთჯერადობა, მოგების მიზანი, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. თავისუფალი პროფესიების ცნება.

თემა II. საწარმოთა სამართლებრივი ფორმები

საწარმოს ცნება. ინდივიდუალური საწარმო. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). კომანდიტური საზოგადოება (კს). შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-

ზოგადოება (შპს). სააქციო საზოგადოება (სს). კოოპერატივი. პარტნიორის ცნება. ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და სახელმწიფო, როგორც პარტნიორები. რეგისტრაციის ცნება და მნიშვნელობა. იურიდიული პირის ცნება. იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობა.

თემა III. საწარმოს დაფუძნება. რეგისტრაციის პირობები

საწარმოთა რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირები. რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტები. რეგისტრაციის გაუქმება. რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფცია. რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია.

თემა IV. საწარმოთა პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობის ცნება. პასუხისმგებლობის პირობები. კრედიტორის ცნება. მესამე პირის ცნება. შესატანის ცნება. ფულადი და არაფულადი შესატანები. შესატანის შეტანის წესი. პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპები.

თემა V. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირები. საერთო კრება. ხელმძღვანელობითი საქმიანობა. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა შეზღუდვა. საზოგადოების ხელმძღვანელობის საგარეო ურთიერთობა. კონკურენციის აკრძალვა. საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება. მტკიცების ტვირთი. იმპერატიული ნორმა რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ. საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველყოფა. საკონსულტაციო საბჭო.

თემა VI. ხანგრძლივობა. რეორგანიზაცია. ლიკვიდაცია

ხანგრძლივობა. სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის ლიკვიდაცია. საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების განაწილების წესი. საზოგადოების რეორგანიზაცია, საწარმოთა შერწყმა, გაყოფა ნატურით.

თემა VII. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

ხანდაზმულობის ცნება. პრეტენზიის ცნება.

თემა VIII. ფილიალები

ფილიალის ცნება. ფილიალის რეგისტრაცია. საზღვარგარეთის საწარმოთა ფილიალის რეგისტრაცია.

კერძო ნაწილი

თემა IX. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ცნება. საზოგადოების ხელმძღვანელობა. პარტნიორის კონტროლის უფლება.. პარტნიორის გარდაცვალება.

თემა X. კომანდიტური საზოგადოება

ცნება. კომანდიტის კონტროლის უფლება. საზოგადოების ხელმძღვანელობა. მოგება და ზარალი. კომანდიტის პასუხისმგებლობა. კომანდიტის წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა.

თემა XI. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ცნება. შპს-ის განსხვავება სს-იგან. საწესდებო კაპიტალი. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი. წილის გასხვისება. წილის ცნება. წილის გასხვისებას გათანაბრებული გარიგებანი. დამატებითი შენატანების გადახდა.

თემა XII. სააქციო საზოგადოება.

ცნება. აქციათა ფორმები. აქციის ცნება და აქციათა სახეები. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები. აქციის ნომინალური ღირებულება. აქციების გასხვისების წესი. ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სხვა ფორმები.

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები. საერთო კრება და მისი კომპეტენცია. სამეთვალყურეო საბჭო და მისი კომპეტენცია. დირექტორები.

წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება. ქონების მოვლის ვალდებულება. კაპიტალის შემენის ღონისძიებები.

თემა XIII. კოოპერატივი

ცნება. პაი. კოოპერატივში გაწევრიანება. წევრის გასვლა კოოპერატივიდან. საერთო კრება. წარმომადგენელთა კრება. სამეთვალყურეო საბჭო. გამგეობა. დირექტორები.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

ნოტარიატი

1. მმართველობა და თვითმმართველობა ნოტარიატის სისტემაში.

2. ნოტარიატის კომპეტენცია და მისი ადგილი სამოქალაქო ბრუნვაში.

[3]. ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები.

4. სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

5. სანოტარო მოქმედება და მისი შესრულების ძირითადი მოთხოვნები (ვადები, შესრულების გადადება, შეჩერება, უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე).

6. გარიგების დამოწმების ზოგადი წესი, პირობები და შედეგები.

7. კანონით უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებები. მათი შესრულების ფარგლები და სპეციფიკა.

8. საზღვაო პროტესტი.

9. სანოტარო საქმიანობის განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა და სამსახურებრივი დაზღვევა.

10. მინდობის, დავალების და რწმუნების დადასტურების თავისებურებანი (მათი მოქმედების ვადა. მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები. გადანდობის უფლება).

11. ნოტარიუსის შემოსავლის დაბეგვრის წესი.

12. სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებენ დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირები.

13. თანამდებობის პირების მიერ იმ ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს.

14. სამკვიდროს გახსნა საზღვარგარეთ და მათთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედებების შესრულების წესი და პირობები.

15. დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტიდან ამონაწერის დადასტურების წესი. დუბლიკატი.

16. დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურების წესი.

17. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის სანოტარო წესით დადასტურება.

18. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის სანოტარო წესით დადასტურება.

19. მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის სანოტარო წესით დადასტურება.

20. მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განცხადებების მიღების წესი, დოკუმენტთა შესანახად მიღება.

21. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება.

22. სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

23. ქონების წილზე საკუთრების მოწმობის, მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების მოწმობის გაცემა.

24. საზღვარგარეთ სამოქმედოდ გაცემულ დოკუმენტთა სანოტარო წესით დამოწმების წესი და თავისებურებანი „ლეგალიზაცია, აპოსტილი".

25. საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მემკვიდრეობასა და საკუთრებაზე.

26. არასამეწარმეო იურიდიულ პირთა დაფუძნების და რეორგანიზაციისათვის საჭირო დოკუმენტთა დამოწმების წესი და პირობები.

27. სამეწარმეო იურიდიულ პირთა დაფუძნების და რეორგანიზაციისათვის საჭირო დოკუმენტთა დამოწმების წესი და პირობები.

28. საქორწინო ხელშეკრულება, მისი დამოწმების წესი.

29. სანოტარო მედიაცია.

30. სუროგაცია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ".

საზღვაო კოდექსი – თავი XXIII. საზღვაო პროტესტი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილება „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ".